

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფლაცია საქართველოში

2022 თებერვალი



02.03.2022
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

02.03.2022

ინფლაცია საქართველოში

2022 წლის თებერვალი


2022 წლის თებერვალში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 0.9 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 13.7 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება საბაზო ინფლაციას¹, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2022 წლის თებერვალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5.1 პროცენტი შეადგინა, ხოლო თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის² მაჩვენებელი ასევე 5.1 პროცენტით განისაზღვრა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში წინა თვესთან შედარებით.

პროცენტული ცვლილება წინა თვესთან შედარებით

ჯგუფების წვლილი* 2022 წლის თებერვლის ინფლაციაში (სულ 0.9%)



* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

¹ საბაზო ინფლაციის გაანგარიშება ხდება სამომხმარებლო კალათიდან შემდეგი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების გამორიცხვით: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები; ენერგომატარებლები; ადმინისტრირებადი ტარიფები; ტრანსპორტი (ცალკეული ტარიფები).

² თამბაქოს გარეშე საბაზო ინფლაციის გაანგარიშება ხდება სამომხმარებლო კალათიდან შემდეგი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების გამორიცხვით: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები; თამბაქო; ენერგომატარებლები; ადმინისტრირებადი ტარიფები; ტრანსპორტი (ცალკეული ტარიფები).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

02.03.2022

ყოველთვიური ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 2.1 პროცენტით, რაც თვის ინფლაციაზე 0.67 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: ბოსტნეული და ბაღჩეული (10.8 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (6.8 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (3.1 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (3.0 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (2.7 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (1.7 პროცენტი); თევზი (1.4 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა რძის, ყველისა და კვერცხის ქვეჯგუფებზე (-2.7 პროცენტი);

ტრანსპორტის ჯგუფში ფასები გაიზარდა 1.0 პროცენტით, რაც 0.12 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაზე. ფასები, ძირითადად, მომატებულია სატრანსპორტო მომსახურების ქვეჯგუფებზე (3.8 პროცენტი);

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ჯგუფში ფასები გაიზარდა 1.3 პროცენტით, რაც 0.09 პროცენტული პუნქტით აისახა თვის ინდექსზე. ფასები გაიზარდა როგორც ალკოჰოლურ სასმელებზე (2.0 პროცენტი), ისე თამბაქოს ნაწარმზე (0.5 პროცენტი);

ტანსაცმელი და ფეხსაცმელი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 4.1 პროცენტიანი კლება, რაც თვის ინფლაციაზე -0.15 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები შემცირდა როგორც ფეხსაცმლის (-7.4 პროცენტი), ისე ტანსაცმლის (-2.6 პროცენტი) ქვეჯგუფებზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი 2022 წლის თებერვლის წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


02.03.2022

პროცენტული ცვლილება წინა წლის
შესაბამის თვესთან შედარებით

%

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	17.3
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	6.1
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	-1.6
საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი	45.8
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	9.9
ჯანმრთელობის დაცვა	6.5
ტრანსპორტი	14.5
კავშირგაბმულობა	1.1
დასვენება, გართობა და კულტურა	1.7
განათლება	3.4
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	12.1
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.1

ჯგუფების წვლილი*2022 წლის თებერვლის ინფლაციაში
წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, (სულ 13.7%)



ინფლაციის დონე, სულ

13.7

პროცენტული პუნქტი

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 17.3 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 5.61 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: ბოსტნეული და ბაღჩეული (34.0 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (23.4 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (20.8 პროცენტი), თევზი (18.2 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (17.4 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (15.6 პროცენტი), ხილი და ყურძენი (15.5 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (14.4 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (11.0 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (10.4 პროცენტი);


საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 45.8 პროცენტიანი მატება, რაც 3.72 პროცენტული პუნქტით აისახა წლიურ ინფლაციაზე. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები (68.4 პროცენტი), წყალმომარაგება და საცხოვრებელთან დაკავშირებული სხვა მომსახურება (58.0 პროცენტი), საცხოვრებლის მიმდინარე მოვლა და შეკეთება (11.5 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა საცხოვრებლის ფაქტიურ გადასახადზე (-2.9 პროცენტი);

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


02.03.2022

ტრანსპორტის ჯგუფში ფასები გაიზარდა 14.5 პროცენტით, რაც 1.88 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაზე. ფასები, ძირითადად, მომატებულია პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (19.6 პროცენტი) და სატრანსპორტო მომსახურებაზე (3.8 პროცენტი).

ყოველთვიური ინფლაცია



წლიური ინფლაციის დონა საქართველოში (წინა წლის შესაბამის თვესთან, პროცენტული ცვლილება)




საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

02.03.2022

საშუალო ინფლაციის დონა საქართველოში

(12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან, პროცენტული ცვლილება)



საკონტაქტო პირები:

გიორგი თეთრაული
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (400)
E-mail: gtetrauli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020).
E-mail: mkavelasvili@geostat.ge